

შპს "PAPERGEO"

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წელი 2022

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი
შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

- 1.1 შ.პ.ს. „PAPERGEO“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად დარეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2011 წლის 18 ნოემბერს. ს/ნ 404918737.

კომპანიის დამფუძნებელი: ლაშა შაორშაძე პ/ნ 18001000817 50% წილის მფლობელი

პარტნიორი ალექსანდრე შაორშაძე პ/ნ 18001002288 50% წილის მფლობელი

კომპანიის დირექტორი: ლაშა შაორშაძე პ/ნ 18001000817

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი დიდუბის რაიონი, კედიას № 9, არასაცხოვრებელი ფართი 1

ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი დიდუბის რაიონი, კედიას № 9, არასაცხოვრებელი ფართი 1

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 0 ლარს.

- 1.2 კომპანიის ძირითადი საქმიანობა წარმოადგენს ქაღალდის გადამამუშავებას: დაჭრა, დაფასოება, დისტრიბუცია.

- 1.3 საწარმო წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს, მას არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება.

- 1.4 არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

- 1.5 საწარმოს არ გააჩნია ფილიალები

2. სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 კომპანიის მიერ, 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება მის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად.

2.2 კომპანია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტზე გადავიდა 2018 წლის პირველი იანვრიდან.

2.3 სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტზე გადასვლის შემდეგ არსებითად არ განსხვავდებოდა იმ სააღრიცხვო პოლიტიკისაგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

2.4 კომპანიის მიერ წარმოდგენილი 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის შესაბამისად.

2.5 კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი. უცხოური ვალუტა აღიარებულია ტრანზაქციის თარიღით არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	3,0976	3,5040
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	2,7020	2,8844

2.6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავიდან აღიარდება გარიგების ფასით. შემდეგ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. გამოკლებული გაუფასურების რეზერვი, მისი არსებობის შემთხვევაში.

2.7 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში როდესაც გაწეული იქნა.

2.8 მოგების გადასახადი. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“. დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს.

2.9 კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიციები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულების მოდელით.

3.10 გაცემული დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს, კლასიფიცირებულია როგორც ფინანსური ოპერაციები.

2.11 კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულებების მოდელს. ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო ბალანსში ასახულია ცვეთის გამოკლებით. მცირე შეკეთება-განახლება აისახება მოგებ/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე, მისი ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

2.12 შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით:

- ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები, ხარჯები და მოგება-ზარალი აისახება ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით.

2.13 საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს, საგადასახადო ანგარიშგებაში ასახული გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით).

2.14 სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება იანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

2.15 რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

2.16 სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავლებში ან სხვა ხარჯებში.

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	შენიშვნები
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	32873	155029	1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	382871	237533	2
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	264365	94299	3
მარაგები	721592	359748	
მზა პროდუქცია	177752	123298	4
სხვა - ნედლეული და მასალები	543840	236450	
სხვა მოკლევადიანი აქტივები	26907	0	
სხვა არამატერიალური აქტივები	0	2682	5
ძირითადი საშუალებები	489729	413267	6
სულ აქტივები	1918337	1262558	
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	9600	4800	
სავაჭრო ვალდებულებები	180791	3344	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	3530		
საგადასახადო ვალდებულებები	0	3113	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	316977	328431	
სხვა ვალდებულებები	0	0	
სულ ვალდებულებები	510898	339688	7
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)			
წლების მანძილზე დაგროვილი მოგება	1366439	922870	
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	41000		
სულ საკუთარი კაპიტალი	1407439	922870	8
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1918337	1262558	
სულ მოკლევადიანი აქტივები	1	1	

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021	შენიშვნები
ნეტო ამონაგები	5215597	3546838	9
საქონლის გაყიდვიდან	5215597	3546838	
გაყიდვების თვითღირებულება	-4217756	-3017943	
საერთო მოგება	997841	528895	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-432380	-245564	
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-43875	-40547	
საპროცენტო ხარჯი	-21413	-22855	
იჯარის ხარჯი	-4800	-4800	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-30281	-69211	
სულ საოპერაციო ხარჯები	-532749	-382977	10
საოპერაციო მოგება	465092	145918	
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	19477	61468	11
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	484569	207386	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	484569	207386	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	484569	207386	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	922870	715484	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0	
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1407439	922870	

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1

ფულადი სახსრები

ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	12306
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	14752
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	9021

სულ ფულადი სახსრები: 32873

შენიშვნა 2

სავაჭრო მოთხოვნები

არსებული სავაჭრო მოთხოვნები მიწოდებიდან	382871
---	--------

სულ სავაჭრო მოთხოვნები 382871

შენიშვნა 3

გადახდილი ავანსები:

მომწოდებელზე გადახდილი ავანსები (გერმანია, თურქეთი)	222477
დაგროვებითი პენსია	231
შემოსავლების სამსახურში ზედმეტად გადახდილი საშემოსავლო	3042
საბაჟოზე გადახდილი ჩასათვლელი დღგ	35796
ქონების გადასახადი	2818

სულ მომწოდებელზე გადახდილი ავანსები 264365

შენიშვნა 4

სასაქონლო მატერიალური მარაგები

მზა პროდუქცია:

(სალაროს სხვადახსვა ზომის ლენტები, წებოვანი სასწორის ლენტები, სკოჩი) 177752

ნედლეული და მასალები:

(ობსეტის ქაღალდი, ფლუტინგი-ყავისფერი ქაღალდი, თერმული ქაღალდი, წებო, გოფრირებული ყუთები, პოლიეთილენის ფირები, საღებავი) 543840

სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები 721592

სამეურნეო მარაგები:

ღვედები, დაზგის რემნები, პადონები, დანები, შესაფუთის სპირალი, კვების ბლოკი, მეხსიერების ბარათი, სამეთვალყურეო კამერები, ბანერები, სავარძელი, ლეპტოპი მეორადი, ფულის სათვლელი მეორადი და წვრილმანები) 26802

შენიშვნა 5
არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი - 2682 ლ ბუღალტრული პროგრამა

შენიშვნა 6
ძირითადი საშუალებები

დასახელება	მანქანა და ნადგარები	ოფისის აღჭურვი ლობა	კომპიუტერული ტექნიკა	ავტო და სხვა ინვენტარი	ტრანსპორტი	იჯარით აღებული ქონების კეთილმო წყობა	დაუმთავ რებელი მშენებლ ობა გორიკან ის ოფისი	მიწის ნაკვეთი	სულ
31 დეკემბრ	258,762	3,467	26,318	3,781	91,996	4,697	94,432	92,300	575,753
შემოსვ	5,143	-	4,712	-	3,115	-	107,152	-	12,970
გასვლა	-	(145)	-	-	-	-	-	-	(145)
31 დეკემბრ	263,905	3,322	31,030	3,781	95,111	4,697	201,584	92,300	695,730
ცვეთა და გაუფასურება									
31 დეკემბრ	(117,391)	(1,948)	(10,411)	(2,477)	(29,089)	(706)	-	-	(162,022)
პერიოდ	(27,393)	(275)	(3,443)	(261)	(12,502)	(105)	-	-	(43,979)
გაუფას	-	-	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბრ	(144,784)	(2,223)	(13,854)	(2,738)	(41,591)	(811)	-	-	(206,001)
წმინდა საბალანსო ღირებულება									
31 დეკემბრ	141,371	1,519	15,907	1,304	62,907	3,991	94,432	92,300	413,731
31 დეკემბრ	119,121	1,099	17,176	1,043	53,520	3,886	201,584	92,300	489,729
ცვეთის მეთოდი: წრფივი									
	31.12.2022								
ნეტო საბალანსო ღ	489,729								

შენიშვნა 7
ვალდებულებები

უცხოელი პარტნიორებზე გადასახდელი ვალდებულება 175921
ადგილობრივი პარტნიორებზე გადასახდელი ვალდებულება 4870
გადასახდელი ხელფასი 3530
გადასახდელი იჯარა 9600
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება 316977
/გრძელვადიანი სესხების, საკრედიტო ხაზის დაფარვის ვადა 2025 წლის 30 მაისი (ყოველწელს განახლებადი), ნომინალური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 7,7%. სესხის თანხა არის 190000 ევრო, აქედან ათვისებულია 110000 ევრო. /

შენიშვნა 8

საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი პერიოდის დასაწყისში	922870
მესაკუთრის მიერ შემოტანილი თანხა	41000
საანგარიშო პერიოდის მოგება	484569

სულ საკუთარი კაპიტალი

1407439

შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგება-ზარალის შესახებ ახსნა განმარტება

შენიშვნა 9

ამონაგები

ამონაგები პროდუქციის რეალიზაციიდან	5125597
------------------------------------	---------

სულ ამონაგები

5125597

შენიშვნა 10

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

შრომის ანაზღაურება	432380
ცვეთა ამორტიზაცია	43875
საპროცენტო ხარჯი	21413
იჯარის ხარჯი	4800
საბანკო ხარჯი	3888
მივლინების ხარჯი	15687
წარმომადგენლობითი ხარჯი	1052
კომუნალური მომსახურება	4405
ქონებისა და განსაკუთრებული შემთხვევის დაზღვევა	3449
შემოსავლების სამსახურის მომსახურება	1800

სულ ადმინისტრაციული ხარჯი :

532749

შენიშვნა 11

სხვა შემოსავალი

დადებითი საკურსო სხვაობა

19477

ფინანსური ანგარიში დამტკიცებულია

2022 წლის 20 სექტემბერს

შპს „PAPERGEO“-ის დირექტორი ლ. შაორშაძე

8

